

შპს პლაზა+ ჯგუფი
2018 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის
სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნები	2017 1 ლარი	2018 1 ლარი
ამონაგები	4	0.00	1,509,134.00
სხვა შემოსავალი	5	0.00	9,309.00
გამოყენებული ნედლეული და მასალები	-	0.00	-344,322.00
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა	-	0.00	-239,992.00
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	-	0.00	-312,623.00
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	-	0.00	0.00
სხვა ხარჯები	-	0.00	-824,707.00
ფინანსური დანახარჯები	-	0.00	0.00
მოგება დაბეგვრამდე	6	0.00	-203,201.00
მოგების გადასახადის ხარჯი	7	0.00	0.00
მიმდინარე წლის მოგება	-	0.00	-203,201.00

საწარმოს დირექტორი
 გიორგი ბერიანიძე



შპს პლაზა+ ჯგუფი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
3018 წლის 31 დეკემბრისათვის

	შენიშვნები	2017	2018
აქტივები		1 ლარი	1 ლარი
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	-	466,660.39	64,050.00
საეაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	237,128.00	1,831,200.00
წინასწარ გადახდილი გადასახადი	-	188,109.00	354,923.00
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	9	80,041.00	51,730.00
		971,938.39	2,301,903.00
გრძელვადიანი აქტივები			
ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში	10	0.00	0.00
ძირითადი საშუალებები	11	7,572,002.00	9,143,239.00
არამატერიალური აქტივები	12	2,397.00	3,727.00
გადავადებული საგადასახადო აქტივი	-	0.00	0.00
	-	7,574,399.00	9,146,966.00
სულ აქტივები	-	8,546,337.39	11,448,869.00

ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი

მოკლევადიანი ვალდებულებები			
საეაჭრო ვალდებულებები	13	8,966.11	11,951.29
გადასახდელი პროცენტი	-	0.00	0.00
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	-	0.00	4,647.50
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები	-	0.00	0.00
ფინანსური იჯარის ვალდებულებები	-	0.00	0.00
	-	8,966.11	16,598.79
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ბანკის სესხი	-	0.00	0.00
მომუშავეთა გრძელვადიანი გასამრჯელოები	-	0.00	0.00
ფინანსური იჯარის ვალდებულებები	-	0.00	0.00
	-	0.00	0.00
სულ ვალდებულებები	-	8966.11	16598.79

საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	14	8,144,465.54	11,242,565.54
გაუნაწილებელი მოგება	-	392,906.00	189,705.00
		8,537,371.54	11,432,270.54
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		8,546,337.65	11,448,869.33

საწარმოს დირექტორი
გიორგი ბერიანიძე



- 0.26 - 0.33

შპს პლაზა+ ჯგუფი
2018 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	შენიშვნები	2017	2018
		1 ლარი	1 ლარი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
საიჯარო შემოსასულობები	-	0.00	1,271,898.23
მიწოდებიდან შემოსულობები	-	0.00	320,700.00
სხვა შემოსულობები	-	0.00	2,522.00
გაცემული ხელფასები	-	0.00	-278,355.00
გადახდილი გადასახადები	-	0.00	-88,450.00
გაცემული მომწოდებლებზე	-	0.00	-1,072,805.00
გაცემული ჯარიმები	-	0.00	-15,000.00
გაცემული საქვენგარიშო პირზე	-	0.00	-6,115.39
წინასწარ გაწეული ხარჯები	-	0.00	-1,829.75
საბანკო მომსახურების ხარჯი	-	0.00	-2,313.89
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	-	-	130,251.20
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალების შეძენა	-	0.00	-3,630,963.00
ძირითადი საშუალების გაყიდვა	-	0.00	0.00
ინვესტირება შვილობილ საწარმოში	-	0.00	0.00
მიღებული დივიდენდი	-	0.00	0.00
მიღებული პროცენტები	-	0.00	0.00
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-	3,630,963.00
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
საწესდებო კაპიტალის შემოტანა	-	0.00	3,098,100.00
ნასესხები სახსრების გადახდა	-	0.00	0.00
პროცენტის გადახდა	-	0.00	0.00
გაცემული დივიდენდები	-	0.00	0.00
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-	-	3,098,100.00
ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასაწყისისთვის	-	0.00	466,660.59
ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	-	0.00	64,050.28

საწარმოს დირექტორი
 გიორგი ბერიანიძე



შპს პლაზა+ ჯგუფი
2018 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

	შენიშვნები	საწესებო კაპიტალი 1 ლარი	აკუმ. მოგება 1 ლარი
კაპიტალი 2017 წ. 31 დეკემბრით	-	8,144,465.54	392,906.00
პერიოდის მოგება/ზარალი	-	0.00	-203,201.00
პერიოდის დივიდენდები	-	0.00	0.00
პერიოდის რეზერვების მოძრაობა	-	0.00	0.00
პერიოდში დამფუძნებლის შემონატანი	-	3,098,100.00	0.00
კაპიტალი 2018 წ. 31 დეკემბრით	-	11,242,565.5	189,705.00

საწარმოს დირექტორი
 გიორგი ბერიანიძე



შპს პლაზა+ ჯგუფი
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები
2018 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

პლაზა+ ჯგუფი შედგება პლაზა+ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიისა და კიტ 2016 შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიისაგან, რომელებიც რეგისტრირებულია საქართველოში. ორივე კომპანიის საქმიანობის ადგილია თბილისი, მშობელი კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საიჯარო ფართების გაქირავება და ექსპლოატაცია და მასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობები ხოლო შვილობილი საწარმო სასტუმროს სფეროს უძრავი ქონების მათვის და მასთან დაკავშირებული საქმიანობითაა დაკავებული. შვილობილი საწარმოს შემოსავლების მიღება არ დაუწვია ჯერ მხოლოდ მშენებლობის სტადიაზე.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასტუმროს სფეროს აქტოვების მართვიდან შემოსავლები ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისათვისაც არაა მიღებული.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარებში.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლირებული ფინანსური ანგარიშგება შედგება „კომპანიისა“ და მისი სრულ საკუთრებაში მყოფი შვილობილი საწარმოს ფინანსური ანგარიშგებებისაგან. ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირებულია ყველანაირი შიდაჯგუფური ოპერაცია, ნაშთი, შემოსავალი და ხარჯი.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

იჯარის სახით მიღებული ამონაგები აღიარდება წრფივი მეთოდით იჯარის მთელი პერიოდის განმავლობაში.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადისა და გადავადებული გადასახადის ჯამი.

მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, ნაშთის შემცირებადი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	5 პროცენტი
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა	20 პროცენტი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20 პროცენტი

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ ლოგოს დიზაინის მომსახურებას და პროგრამული უზრუნველყოფისაგან, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მათი ამორტიზება ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით 15% განაკვეთის გამოყენებით. არამატერიალურ აქტივებს არ აქვთ განსაზღვრული გამოყენების ვადა.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „საშუალო შეწონილი მეთოდის“ გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკუროსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები

ჯგუფს არანაირი პირობითი აქტივი და ვალდებულება არ აქვს ასახული ფინანსურ მდგომარეობის ანგარიშში, მაგრამ მის გარეთ გვინდა განვმარტოთ რომ საწარმომ 2017 წელს მოახდინა დებოტორული დავალიანების ჩამოწერა 512 530 ფე-ს ოდენობით, ერთ კონკრეტულ კლინტზე, როგორც უიმედო ვალი, რადგან ამ პირზე მიმდინარეობს გაკოტრების საქმე და სწარმო მე-7 რიგის პრეტენდენტია და სავარაუდოთ ვერ მოხდება ამ თანხის ამოღება. თუმცა სასამართლოს ბოლო გადაწყვეტილებამე ამ მოთხოვნას როგორც პირობით აქტივს შენიშვნებში განვმარტავთ.

4. ამონაგები

	2017 1 ლარი	2018 1 ლარი
ფართების გაქირავების შემოსავალი	-	1,145,991
პარკირების შემოსავალი	-	1,786
ფეი ბოქსის შემოსავალი	-	18
სხვა	-	517
კომუნალური მომსახურების შემოსავალი	-	2,119
სარემონტო სამუშაოს მიწოდება	-	358,704
	-	1,509,134

5. სხვა შემოსავალი

	2017 1 ლარი	2018 1 ლარი
მეორადი მასალების მიწოდების შემოსავალი	-	2100
მეორადი მასალის აღდგენა ხარჯიდან	-	300
საკომპენსაციო შემოსავლები	-	5968
კურსთაშორის მოგება	-	941
	-	9,309.00

6. მოგება დაბეგვრამდე

შემდეგი მუხლები აღიარებულ იქნა ხარჯად (შემოსავლად) დაბეგვრამდე მოგების განსაზღვრისას:

	2017 1 ლარი	2018 1 ლარი
ღაზღვევის ხარჯები	-	5,940.00
საიჯარო ქირა	-	2,400.00
ღაცვის მომსახურების ხარჯი	-	5,197.26
კომუნიკაციის ხარჯები	-	1,457.40
კომუნალური ხარჯი	-	551,292.00
ღასუფთაების ხარჯი	-	12,644.00
ტექნიკური მომსახურების ხარჯი	-	30,558.00
სამეურნეო საქონელი	-	675.00
საწვავის ხარჯი	-	476.70
რემონტის ხარჯი	-	54,918.00
საკონსულტაციო ხარჯები	-	35,089.00
სარეკლამო ხარჯი	-	36,748.00
ჯარიმები	-	15,000.00
სხვა საგადასახადო ხარჯი	-	64,120.00
ბანკის საკომისიო	-	2,505.00
სხვა საერთო ხარჯი	-	5,688.00
	-	824,708.36

7. მოგების გადასახადის ხარჯი

პერიოდის განმავლობაში მიღებულია ზარალი და შესაბამისად მოგების გადასახადის ხარჯი და ვალდებულება არ წარმოიშევა.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2017 1 ლარი	2018 1 ლარი
სავაჭრო დებიტორები	103,801.00	297,932.00
წინასწარი გადახდები	133,327.00	1,533,268.00
	237,128.00	1,831,200.00

9. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2017 1 ლარი	2018 1 ლარი
ნედლეული და მასალები	57,497.00	29,187.00
დაუმთავრებელი წარმოება	-	-
მზა პროდუქცია	22,544.00	22,544.00
	80,041.00	51,731.00

10. ჯგუფი სტრუქტურა

ჯგუფი შედგება მშობელი საწარმოსა (შპს პლაზა+) და 1 შვილობილი საწარმოსაგან (შპს კიტ2016);

11. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა- ნაგებობებ ი 1 ლარი	მანქანა- დანადგარები და მოწყობილობა 1 ლარი	ავეჯი და ინვენტარი 1 ლარი
საბალანსო ღირებულება 1 იანვარი, 2018 წ.	6,922,594	252,662.29	74,037.26
შემოსვლა	0	49,464	21,990
გასვლა	- 15,498	0	0
წლიური ცვეთა	- 240,668	- 89,065	- 19,205
გაუფასურება	0	0	0
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი, 20X2 წ.	6,666,428	213,061	76,822

ჯგუფს გააჩნია მიმდინარე მშენებლობა როლის საწყისი ნაშთი იყო 322,709 ლარი წლის მანძილზე მშენებლობაზე დაიხარჯა 1,864,219 ლარი; შესაბამისად საბოლოო ნაშთი გვექონდა 2,186,928 ლარი.

12. არამატერიალური აქტივები

ჯგუფის არამატერიალური აქტივები შედგება საწარმოს ლოგოსაგან და პროგრამული უზრუნველყოფისაგან. რომელთაც არ აქვთ განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა და მათზე ხდება 15% ცვეთის დარიცხვა.

13. სავაჭრო ვალდებულებები

როგორც საწყისი ასევე საბოლოო სავაჭრო ვალდებულებები არის მხოლოდ საანგარიშგებო ვალუტაში დენომინირებული.

ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

ჯგუფს ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს სასაწყობო ფართი, ამ იჯარის საშუალო ვადა ერთი წელია და ამავე ვადაში გათვალისწინებულია ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების გადახდა.

მიმდინარე წელს ხარჯებად აღიარდა 2 400 ლარი, ხოლო საიჯარო ვალდებულებები წლის ბოლოსათვის არ ირიცხება.

14. სააქციო კაპიტალი

2017 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრისთვის საწესდებო კაპიტალის ნაშთი შეადგენს 8 144 465.54 ლარს და 11 242 565.54 ლარს, რომელიც შედგება სრულად ანაზღაურებული წილისაგან. წლის განმავლობაში დამფუძნებელმა წილის ან უფლებების რაიმე სახის ცვლილების გარეშე განახორციელეს დამატებითი შენატანი 3 098 100 ფე-ს ოდენობით.

15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

პარნიორებმა და კომპანიის დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 30 სექტემბერს.

საწარმოს დირექტორი
გიორგი ბერიანიძე

